შპს ჯეტოილ ჯორჯია
ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

მსს ფასს

ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია 2024 წლის 31 გვისტოს

შპს ჯეტოილ ჯორჯია

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

(ლარში)

	2023	2022
ამონაგები	1 721 983	14 448 212
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	(1 159 494)	(14 542 536)
საერთო მოგება/(ზარალი)	562 489	(94 324)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(1 371 307)	(1 279 269)
მიწოდების ხარჯები	(370)	(190 341)
სხვა შემოსავალი/ (ხარჯი)	(599 167)	(1 319 453)
საოპერაციო მოგება/ (ზარალი)	(1 408 355)	(2 883 386)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	(87 879)	(78 242)
საპროცენტო შემოსავალი/ (ხარჯი), წმინდა	(378 734)	(348 802)
წლის სრული შემოსავალი/ (ზარალი)	(1 874 968)	(3 310 431)

შპს ჯეტოილ ჯორჯია

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიში

(ლარში)

	31/12/2023	31/12/2022
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	6 339	68 754
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3 849 209	835 654
გადახდილი ავანსები	2 097 186	3 424 624
მარაგები	142 424	198 917
სულ მოკლევადიანი აქტივები	**6 095 158**	**4 527 948**
ძირითადი საშუალებები	379 750	383 195
არამატერიალური აქტივები		
სულ გრძელვადიანი აქტივები	**379 750**	**383 195**
სულ აქტივები	***6 474 908***	***4 911 143***
სავაჭრო ვალდებულებები	4 082 216	4 804 568
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	-	-
საგადასახადო ვალდებულებები	32 260	
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	1 513 630	851 132
სხვა ვალდებულებები	-	-

სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	**5 628 106**	**5 655 700**
გრძელვადიანი ვალდებულებები	2 705 624	_
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	**8 333 730**	**_**
საწესდებო კაპიტალი	1 680 883	920 179
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	(3 539 704)	(1 664 737)
სულ საკუთარი კაპიტალი	**(1 858 821)**	**(744 557)**
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	***6 474 908***	***4 911 143***

შპს ჯეტოილ ჯორჯია

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში)

	2023	**2022**
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
(ზარალი)/მოგება მოგების გადასახადამდე	(1 874 968)	(3 310 431)
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	87 879	78 242
საოპერაციო ფულადი ნაკადების ცვლილება:		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(1 993 302)	1 270 398
სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში	56 493	(26 853)
საგადასახადო აქტივებში	339 444	(251 508)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	(722 352)	3 652 585
საოპერაციო ფულადი ნაკადების წმინდა ცვლილება	(4 106 805)	1 412 433
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(84 434)	(233 191)
საინვესტიციო ფულადი ნაკადების წმინდა ცვლილება	(84 434)	(233 191)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	760 704	920 179
წმინდა შემოსულობები ნასესხები სახსრებიდან	3 368 121	(2 094 425)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	4 128 825	(1 174 246)
ფული პერიოდის დასაწყისში	68 754	63 758
ფული პერიოდის ბოლოს	6 339	68 754

შპს ჯეტოილ ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მსს ფასს

(თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში)

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ჯეტოილ ჯორჯია“ არის საქართველოში დაფუძნებული და რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანია დაფუძნებულია 2020 წელს.
კომპანიის დამფუძნებელი და 100%-ნი წილის მფლობელია თამარ შამუგია (პ/ნ 62007014273).

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, შ. ნუცუბიძის ქ., N22, ბ. 24

საანგარიშო პერიოდში კომპანიის თანამშრომელთა საშუალო რიცხოვნობა შეადგენდა 8 ს

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საბითუმო ვაჭრობა ნავთობით.

2. მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1 წარდგენის საფუძვლები

კომპანია საქართველოში მოქმედი ბუღალტრული და საანგარიშგებო რეგულაციების მიხედვით წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს და ამავე რეგულაციებით მას მოეთხოვება ფინანსური ანგარიშგების მომზადება და წარდგენა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (შსს ფასს-ის) შესაბამისად.

კომპანიამ 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად და წარმოდგენილია ქართულ ლარებში (ლარი) .

მსს ფასს-ის სტანდარტების მიხედვით ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს იმას, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნორიზებად მომავალშიც, ანუ აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ და მათი სახელით დამოწმებულია 2023 წლის 31 აგვისტოს.

2.2 სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპები.

- **ამონაგების აღიარება**

ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში. კომპანიის ამონაგები შედგება პროდუქციის რეალიზაციით მიღებული შემოსავლებისაგან.
კომპანია შემოსავლებს აღიარებს იმ მომენტში, როდესაც ხდება საქონლის გადაცემა მყიდველზე ყველა თანდართულ მნიშნელოვან რისკებთან და სარგებელთან ერთად. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან გამოიქვითება ყველანაირი გაცემული სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასა და მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

- **სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები**

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

- **მოგების გადასახადი**

მოგების გადასახადი დაითვლება მიმდინარე საკანონმდებლო მოთხოვნების იხედვით. 2017 წლის 1 იანვრიდან **საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა ცვლილება მოგების გადასახდდარიხვასა და წარდგენასთან** დაკავშირებით.

2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა). ასევე მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა. მოგების გადასახადი წარმოქმნილი დივიდენდების განაწილებიდან, აღიარდება ხარჯად იმ პერიოდში როდესაც გამოცხადდება დივიდენდები. ფაქტობრივად გადახდის დღის ან იმ პერიოდის მიუხედავად, რომლის მიხედვითაც ნაწილდება დივიდენდები.
საგადასახადო ვალდებულებისათვის შესაძლებელია მოგების გადასახადის ჩათვლა, 2017 წელს ან მოგვიანებით ნებისმიერი გამოცხადებული და გადახდილი დივიდენდისათვის, წინა მოდელის მიხედვით 2016 წლამდე დაგროვილი მოგებიდან.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოქმნილა დროებითი სხვაობები აქტივებსა და ვალდებულებებში, ანგარიშგებაში, ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად გადავადებული საგადასახო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება 2017 წლის 1 იანვრიდან.

- **ძირითადი საშუალებები**

ძირითადი საშუალებები არის მატერიალური აქტივები, რომლებიც:
(ა) იმყოფება საწარმოს განკარგულებაში და გამოიყენება საქონლის წარმოებაში, საქონლის ან მომსახურების მისაწოდებლად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის; და
(ბ) გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად.
ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით. ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

კომპიუტერული ტექნიკა	5 წელი
ავეჯი და ოფისის კეთილმოწყობა	10 წელი
მსუბუქი ა/მ	7 წელი
შენობა-ნაგებობა	50 წელი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

- **არამატერიალურ აქტივები**

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შემენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში, რომელიც ხუთ წელს შეადგენს. კომპანია არ ფლობს სასარგებლო მომსახურების განუსაზღვრელი ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს.

- **აქტივების გაუფასურება**

ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივებისა განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქვტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

- **იჯარა**

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად. კომპანიას არ აქვს ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

- **სასაქონლო მატერიალური მარაგები**

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები ეს ისეთი აქტივებია, რომლებიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში, განკუთვნილია საწარმოო მოხმარების ან მოსახურეობისათვის. ერთეულები როგორიცაა სათადარიგო ნაწილები, დამხმარე და ექსპლუატაციაში მყოფი სხვა იდენტური ფასეულობები აგრეთვე მიეკუთვნებიან მარაგების კატეგორიას თუ არ აკმაყოფილებენ ძირითად საშუალებებად აღიარების კრიტერიუმებს.

სასაქონლო მატერიალური მარაგები წარმოდგენილია საბალანსო ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სავარაუდო გასაყიდი ფასია. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და მის ადგილზე მიტანასთან.

- **სავაჭრო და სხვა მოთხოვნები**

სავაჭრო მოთხოვნები ფასდება გარიგების ფასით, გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო მოთხოვნები გადაანგარიშდება ლარში, საანგარიშგებო თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო მოთხოვნები არის მოკლევადიანი და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

- **გადახდილი ან მიღებული ავანსები**

გადახდილი და მიღებული ავანსები აღიარდება გადახდილი/მიღებული თანხის ოდენობით გადახდის/მიღების მომენტში. ავანსების გადაფასება არ ხდება სავალუტო კურსის მიხედვით და რჩება შეფასებული ისტორიული ღირებულებით.

გადახდილი ავანსების გაუფასურებაზე ტესტირება ხდება ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს და თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ გადახდილი ავანსის შესაბამის საქონელს ან მომსახურებას კომპანია ვერ მიიღებს და თანხის უკან დაბრუნებაც შეუძლებელი იქნება, მაშინ გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

- **ფული**

ფული მოიცავს ფულად სახსრებს სალაროში და საბანკო ანგარიშებზე. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი ნაშთები გადაანგარიშდება ლარში, საანგარიშგებო თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

- **სავაჭრო ვალდებულებები**

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება ლარში, საანგარიშგებო თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

- **ბანკის სესხები და ოვერდრაფტები**

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

- **დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები**

დაქირავებულ მომუშავეთა მოკლევადიანი გასამრჯელოების (მათ შორის ბონუსების) დანახარჯებად აღიარება ხდება იმ პერიოდში როდესაც თანამშრომლების მომსახურებას გასწევენ.
კომპანიას არ აქვს რაიმე გრძელვადიანი გასამრჯელოების პროგრამები დაქირავებულთათვის და არ ახორციელებს წილობრივ გადახდე.

3. განუსარღვრელობის შეფასებისათვის გამოყენებული ძირითადი წყაროები

- **საეჭვო ვალების რეზერვების სეფასება**

საეჭვო ვალების რეზერვის შეფასება ხორციელდება თითოეული კლინტის მიხედვით, იმ ინფორმაციაზე დაყრდნობით რაც მენეჯმენტს გააჩნია ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის. კომპანიის მენეჯემნტი და თითოეული დეპარტამენტის ხელმძღვანელი რეგულარულად ახორციელებს მოთხოვნების ხანდაზმულობის და თითოეული კლიენტის ფინანსური მდგომარეობის ანალიზს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ შექმნილი რეზერვები სამართლიანად ასახავს მოთხოვნების შესაძლო გაუფასურებას, თუმცა რეალური შედეგები მომავალში შესაძლოა განსხვავებული იყოს მენეჯმენტის მოლოდინებისაგან.

- **შემოსავლების აღიარება**

როგორც სააღრიცხვო პოლიტიკაშა აღწერილი კომპანია მსს ფასს-ის შესაბამისად ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ე.წ. "პროცენტული შესრულების მეთოდით". პროცენტურლი შესრულების მეთოდი ძირითადად მნიშვნელოვანია აუდიტისა და ბიზნეს-საკონსულტაციო პროექტებისათვის, რომლებიც შედარებით ხანგრძლივვადიანია. პროექტების დასრულების სტადია ფასდება კონკრეტული პროექტის შინაარსის/მასშტაბის (scope), შესასრულებელი სამუშაოების მოცულობის და შეთანხმებული/დაგეგმილი გრაფიკების მიხედვით, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს პროექტის მდგომარეობის გათვალისწინებით. მენეჯმენტი ინფორმაციას თითოეულ პროექტზე იღებს კონკრეტული პროექტის მენეჯერისა და შესაბამისი სერვის-ლაინის ხელმძღვანელისაგან (მათ შორის, სადაც რელევანტურია, თაიმშიტების ანალიზით). მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ პროექტების დასრულების სტადიის ჩვენი შეფასებები საანგარიშგებო პერიოდისათის სამართლიანი და შესაფერისია.

დირექტორი:

დავით შამუგია